

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი №1

ქალაქი რუსთავი

25 მაისი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ქავთარაძე

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- ნინო ნიკოლავა - მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
- ნინო ქვირია - მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
- ეკატერინე ხუციშვილი - ა(ა)იპ ბაგა - ბალების გაერთიანების დირექტორი

ასევე ესწრებოდნენ:

- დავით იშხნელი - საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
- ამირან ჯანჯღავა - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე
- ნინო ჩიტორელიძე - სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდას“ პროექტების მენეჯერი
- ლიანა ჩარკვიანი - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელის წარმომადგენელი რუსთავში
- ანა მელიოშვილი - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის წარმომადგენელი

ეკა მიდოდაშვილი- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
წარმომადგენელი

დღის წესრიგი:

1. ქალაქ რუსთავის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის განხილვა
2. სხვადასხვა

საკითხი №1

სხდომის თავმჯდომარემინო ქავთარაძემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო საკითხი „გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის განხილვა“ და განმარტა, რომ გენდერული თანასწორობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა დღევანდელი საზოგადოების. აუცილებელია ცნობიერების ამაღლება და ამ მიზნით შეხვედრებისა და სხვადასხვა ტრენინგის ჩატარება. გენდერზე საუბრისას არ უნდა კეთდებოდეს აქცენტი მხოლოდ ქალების გაძლიერებაზე, ვინაიდან გენდერი მხოლოდ ამას არ გულისხმობს. მამაკაცებს სწორად უნდა წარედგინოთ პრობლემები, რომელიც ამ თემის ირგვლივ არსებობს. გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმაში ზოგადი დებულებების სახით წარმოდგენილია მუნიციპალიტეტში, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველყოფად გენდერულ საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიისათვის მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები. მათ შორის არის ინფორმირებულობის გაზრდა და ხელმისაწვდომობა (მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე განთავსდება სპეციალური ფანჯარა, რომელშიც აისახება საბჭოს მუშაობა); ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა; სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესის შემუშავება; კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების დახმარებით ცნობიერების ამაღლება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და სხვა.

აზრი გამოთქვებს:

ანა მელიოშვილი: „ჩვენს ორგანიზაციას აქვს გამოცდილება საინფორმაციო კამპანიის და ტრენინგ-სემინარების ჩატარების მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ ამ მხრივ შეგვიძლია პირველ ეტაპზე, თუნდაც, საკრებულოს წევრებს გავესაუბროთ ამ საკითხზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით.“

დავით იშხნელი: „მხარს ვუჭერ, აბსოლუტურად, გენდერულ თანასწორობას, თუმცა რატომღაც აქცენტი კეთდება ქალების პოლიტიკაში ჩართულობაზე. ჩვენს ქვეყანაში, სადაც სისტემები ჯერ კიდევ განვითარებული არ არის ბოლომდე, ყურადღება უნდა გამახვილდეს კვალიფიციურ კადრებზე, არ აქვს მნიშვნელობა ეს ქალი იქნება თუ კაცი. აგრეთვე, შესასწავლია ქალების სოციუმის ფსიქოლოგიური მდგომარეობა. ამიტომ არასწორია დამოკიდებულება, რომ ქალების მოსვლის შემდგომ მშვიდობა იქნება, ეს, აბსოლუტურად, საფუძველს მოკლებული აზრია.“

ნინო ქავთარაძე: „თავად ქალებშიც არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება: ისინი თავად ამბობენ უარს თანამდებობებზე. ყველაზე ქმედითი ნაბიჯი იქნება ამ სტერეოტიპების დამსხვრევა. ქალებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი თავის რწმენა, იმისათვის, რომ თავი დაიმკვიდრონ პოლიტიკაში, რა თქმა უნდა, სურვილისა და მონაცემების გათვალისწინებით. ამასთანავე, ვფიქრობ, თვითმმართველობის როლი უნდა გაძლიერდეს, რათა ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, ეგულებოდეთ მხარდამჭერები თავიანთ ქალაქშივე.“

ნინო ქვირია: „ვეთანხმები აღნიშნულ იდეებს, თუმცა პირადად მაქვს შეხება ურთულეს შემთხვევებთან, ოჯახში მდგომარეობის თვალსაზრისით. ზოგმა ისიც კი არ იცის, რა არის მისი უფლება. მე მათ გარკვეულწილად ვეხმარები, თუმცა საბოლოოდ არ მაქვს ძლიერი ბერკეტი. ამიტომ უფრო ქმედითი გზებია საპოვნელი. ყველა შეხვედრაზე თითო ნაბიჯი რომ გადაიდგას, უკვე წინსვლაა.“

ნინო ჩიტორელიძე: „პარტი იქნებოდა სამოქმედო გეგმა ჩამოყალიბებამდემოკვლევულ იქნეს სტატისტიკა: როგორია ზოგადი გენდერული ასპექტები აღქმული ქალაქში საზოგადოების, თვითმმართველობის, ბიზნესის მხრიდან. სტრატეგიამდე მნიშვნელოვანია რაოდენობრივი კვლევის მონაცემები.“

ნინო ნიკოლავა: „პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ შესაძლებელია შრომის კოდექსში განსაზღვროს კერძო სექტორში დამსაქმებელთა ვალდებულებები გენდერული თანასწორობის კუთხით და განისაზღვროს კვოტირება.“

ამირან ჯანჯღავა: „პრობლემის ამოსავალი არის განათლება და ოჯახებსა და სოციუმში პიროვნების ჩამოყალიბების დროს მიწოდებული არასწორი ინფორმაცია. პრობლემის გადაჭრის მარტივი გზა არის განათლება: სკოლამდელთა, სკოლის და ა.შ. პროგრამები. არ არის საჭირო რთული ტერმინოლოგიისა და დეფინიციების დამკვიდრება, რომელიც უფრო აბნევს საზოგადოებას.“

ნინო ქავთარაძე: „როგორც ვხედავთ პრობლემა დიდია და უნდა გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები. უნდა დაიგეგმოს კვლევები და მოკვლევის შედეგად განვსაზღვროთ ცნობიერების ამაღლების საუკეთესო გზები და დავიწყოთ ღონისძიებების გატარები პრობლემების აღმოსაფხვრელად. მუნიციპალიტეტი აქტიურად იქნება ჩართული ამ პროცესში.“

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ნინო ქავთარაძე

საკრებულოს გენდერული თანასწორობის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე